ავტობიოგრაფია

დაიბადა 1962 წლის 16 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში.

1979 წელს, საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება, ხოლო 1990 წელს ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია დაღესტნურ ენათა მიმართულებით თემაზე „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა თაბასარანულ ენაში“,

1990-1994 წლებში სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში ნოდარ ანდღულაძის კლასში.

1986-2002 წლებში მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლაბორატორიაში მეცნიერ-თანამშრომლად.

1990-2002 წლებში იყო კავკასიურ ენათა კათედრის დოცენტი, 2002-2006 წლებში - ამავე კათედრის პროფესორი, 2006 წლიდან დღემდე არის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სრული პროფესორი და ხელმძღვანელი.

2002 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თაბასარანული ენის ფონემატური სტრუქტურა და მორფონოლოგიის საკითხები“.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ, ორი კათედრის (კავკასიურ ენათა კათედრისა და კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის) გაერთიანებით ინტერდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე დაარსა კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. ც. ბარამიძის მიერ წარმოდგენილი კავკასიოლოგიის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დარგის, განვითარების კონცეფცია, თანამედროვე მოთხოვნათა სტანდარტების შესაბამისად, ერთდროულად იყო ტრადიციულიცა და ინოვაციურიც. დაარსა ახალი მოდულები (აზერბაიჯანოლოგია, ოსოლოგია, არეალური ლინგვისტიკა)

სწავლების სამივე საფეხურისათვის აღადგინა რუსული სექტორი და შექმნა რუსულენოვანი პროგრამები შექმნა მრავალი ახალი საგანი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ქართული და რუსული სექტორებისათვის. ამგვარი მიდგომის მიზანი იყო, თანამედროვე ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, ფართო პროფილის კავკასიოლოგის ჩამოყალიბება, რომელიც, ამავდროულად, იქნება კონკრეტული მოდულის მიხედვით, კავკასიოლოგიის ვიწრო სფეროს სპეციალისტიც. მიდგომა შეპირობებული იყო კავკასიის, როგორც მულტილინგვური და მულტიკულტურული სივრცის აღქმით. სასწავლო პროგრამის ამოქმედებისათვის შედგა არაერთი პრეზენტაცია ახალი პროგრამებისა, მაგალითად, ოსური მხარის მონაწილეობით თსუ-ში (2007), ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (2007). ც. ბარამიძემ შექმნა კავკასიოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა.

დააარსა კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი: 2007 წელს ჩატარდა I „კავკასიური ცივილიზაცია მახლობელი აღმოსავლეთის ლინგვოკულტურულ კონტექსტში“; 2010 წელს კი II - „კავკასიური ცივილიზაცია - ისტორია და თანამედროვეობა“. 2013 წლის ოქტომბერში- III კონგრესი (მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში).

2012 წელს თსუ რექტორის მომართვის საფუძველზე კავკასიოლოგიის ინსტიტუტმა ჩაატარა რეგიონის ქვეყნების (თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) ერთობლივი ორგანიზებით საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია“.

2008 წელს მიწვეული იყო ესპანეთში ადამიანის უფლებათა დაცვის III კონგრესზე, სადაც, პირველმა პოსტსაბჭოთა სივრციდან, დასვა საკითხი ჩრდილო კავკასიის ენობრივი უფლებების დაცვის თაობაზე რუსეთის ფედერაციის ენობრივი სიტუაციის მექანიზმის მეცნიერულად არგუმენტირებული მხილებით.

ინტენსიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში სხვადასხვა ქვეყანაში.

არის რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული რამდენიმე გრანტის ხელმძღვანელი. არის 5 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ც. ბარამიძემ 2009 წელს დააარსა სამენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“. გამოიცა 6 ნომერი.

ც. ბარამიძე არის 140-მდე ნაშრომის ავტორი, მათ შორის - 5 წიგნისა (ოთხი მონოგრაფიაა).

ც. ბარამიძე იყო თსუ ორი მოწვევის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი. 2007 წელს კი თსუ წესდების შემდგენი კომისიის წევრი.

თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის კავკასიისა და დიასპორის კომიტეტთან შესაბამისი პროფილით.

არის აკადემიკოს არნ. ჩიქობავას მიერ დაარსებული ლინგვისტური კავკასიოლოგიის ქართული სკოლის წარმომადგენელი; კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი 2006 წლიდან დღემდე. საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი.

2013 წელს იყო თსუ-ს რექტორობის კანდიდატი უნივერსიტეტის ავტონომიურობის პროგრამით. მონაწილეობას იღებდა 2016 წლის გაზაფხულის მოვლენებში პროფესორთა საინიციატივო ჯგუფში.

კითხულობს საჯარო ლექციებს ფართო საზოგადოებისათვის. მუშაობს კავკასიის ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივ სამეცნიერო პროექტებზე. არის კომუნიკაბელური, კოლეგიალური, მოტივირებული, დიდი გამოცდილების პროფესორი. არის საზოგადო მოღვაწე.

პროფესიული ბიოგრაფია

პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი	ცირა ბარამიძე
ელფოსტა	tsira.baramidze@tsu.ge; kafbaci@gmail.com; caucasiology@gmail.com
ტელეფონი	597 17 13 68

სამუშაო გამოცდილება

წლები	2013 →
თანამდებობა	პროფესორი, დირექტორი
ორგანიზაციის დასახელება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიოლოგიის ინსტიტუტი
წლები	2006-2013
თანამდებობა	სრული პროფესორი, ხელმძღვანელი
ორგანიზაციის დასახელება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიოლოგიის ინსტიტუტი
წლები	2002-2006
თანამდებობა	პროფესორი
ორგანიზაციის დასახელება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიურ ენათა კათედრა
წლები	2010 →
თანამდებობა	წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი
ორგანიზაციის დასახელება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წლები	2006-2010
თანამდებობა	წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი
ორგანიზაციის დასახელება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წლები	2006 →
თანამდებობა	ფაკულტეტის საბჭოს წევრი
ორგანიზაციის დასახელება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

წლები	1986-2002
თანამდებობა	მეცნიერ-თანამშრომელი
ორგანიზაციის დასახელება	არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

წლები	1990-2002
თანამდებობა	დოცენტი
ორგანიზაციის დასახელება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიურ ენათა კათედრა

განათლება/სტაჟირება

წლები	2002
სამეცნიერო სტატუსი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
უმაღლესი სასწავლებელი	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წლები	1986-1990
სამეცნიერო სტატუსი	ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
უმაღლესი სასწავლებელი	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წლები	1981-1986
კვალიფიკაცია	ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დამატებით – კავკასიური ენები
უმაღლესი სასწავლებელი	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუბლიკაციათა რაოდენობა	98 პუბლიკაცია, 3 მონოგრაფია 4 წიგნი
რედაქტორობა	50-მდე წიგნის რედაქტორი, საერთაშორისო სამენოვანი სამეცნიერო ჟურნალ „კავკასიოლოგიური ძიებანის“ მთავარი რედაქტორი და დამაარსებელი. სხვა სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.
სალექციო კურსები (ქართული და რუსული სექტორები)	შესავალი კავკასიოლოგიაში ენობრივი სიტუაცია კავკასიაში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება აზერბაიჯანის რელიქტური ენები

	იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი) თაბასარანული ენა (1, 2, 3, 4, 5) არეალური ლინგვისტიკა და სხვ.
სასწავლო პროგრამები	კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; ქართული და რუსული სექტორებისათვის; კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართული და რუსული სექტორებისთვის; კავკასიოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
სხვა სამეცნიერო აქტივობები	
წლები	2007
აქტივობა	კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის დამაარსებელი და
ორგანიზაციის	თავმჯდომარე
დასახელება	http://caucasiology.tsu.ge/congress/
წლები	2006
აქტივობა	კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი
ორგანიზაციის	ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
დასახელება	უნივერსიტეტი http://caucasiology.tsu.ge/
	სხვა სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზატორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი
ენების ცოდნა	ქართული (მშობლიური) ინგლისური რუსული თაბასარანული ლეზგიური

Curriculum Vitae

Personal Information

First name/ Surname	Tsira Baramidze
E-mail(s)	tsira.baramidze@tsu.ge; kafbaci@gmail.com; caucasiology@gmail.com
Mobile	597 17 13 68

Work Experience

Date(s)	2013 →
Occupation or position held	Professor, Director
Name of employer	Institute of Caucasiology Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date(s)	2006-2013
Occupation or position held	Full Professor, Head
Name of employer	Institute of Caucasiology Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date(s)	2002-2006
Occupation or position held	Professor
Name of employer	Institute of Caucasiology Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date(s)	2010 →
Occupation or position held	Member of The Representatioon Council (Senate)
Name of employer	Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date(s)	2006-2010
Occupation or position held	Member of The Representation Council (Senate)
Name of employer	Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date(s)	2006 →
Occupation or position held	Member of Faculty Council
Name of employer	Faculty of Humanities Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date(s)	1986-2002
Occupation or position held	Research-Fellow
Name of employer	Arnold Chikobava Institute of Linguistics
Date(s)	1990-2002
Occupation or position held	Docent
Name of employer	Department of Caucasians Languages Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Education /Training

Date(s)	2002
Status	Doctor of philological Sciences

Name and type of organisation providing education	Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date(s)	1986-1990
Status	PhD of philology
Name and type of organisation providing education	Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date(s)	1981-1986
Qualification	Philology
Name and type of organisation providing education	Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Number of Publications	Author of 98 publications, 3 Monograph
Editor	Editor of 50 The book, Editor in Chief of International Jurnal "Caucasiologic Papers"
Cources of Lectures: (Georgian and Russian sector)	Introduction to Caucasiology Linguistic situation in the Caucasus Iberian-Caucasian linguistics Relictive languages of Azerbaijan Comparative grammar of Iberian-Caucasian Linguistics (Morphology, syntax) Tabasaranian Language (1, 2, 3, 4, 5) Areal Linguistics
Programms of Lectures	Programm BA in Caucasiology (Georgian and Russian moduls) Programm MA in Caucasiology (Georgian and Russian moduls)
Other scientific activities	
Dates	2007
Activity	Founder and head of Inretnational Congress of Caucasiologists
Organisation	http://caucasiology.tsu.ge/congress/
Dates	2006
Activity	Founder of institute of Caucasiology
organisation	Ivane Javakhishvili Tbilisi State University http://caucasiology.tsu.ge/ Organizer Other conferences and symposiums
Language Skills	Georgian (Native language) English Russian Tabasaranian Lezgian

კანდიდატის საერთაშორისო გამოცდილების აღწერა

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ცირა ბარამიძე 2006 წლიდან ხელმძღვანელობს საერთაშორისო მნიშვნელობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს. გასულ საუკუნეში თბილისი სამართლიანად იქცა კავკასიოლოგიის აღიარებულ ცენტრად საერთაშორისო მასშტაბით. თბილისის უნივერსიტეტში ერთ-ერთი უპირველესი კათედრა - კავკასიურ ენათა კათედრა იმთავითვე ამზადებდა კადრებს საერთაშორისო კავკასიოლოგიური ცენტრებისათვის. ფუნქციონირებდა რუსული სექტორი, რომელიც ამზადებდა კადრებს ჩრდილო კავკასიის ქვეყნებისათვის. ტრადიციულად დიდი იყო საერთაშორისო კონტაქტები ევროპისა და აზიის ქვეყნების შესაბამის სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუციებთან, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ზღუდავდა ასეთ ურთიერთობებს. საბჭოთა მეცნიერებისათვის დამახასიათებელი იყო მეცნიერების დარგების პოლიტიზირება. კავკასიოლოგია განსაკუთრებული ინტერესების სფეროს წარმოადგენდა ამ თვალსაზრისით; საბჭოეთის ლინგვისტიკას სწორედ აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ - კავკასიოლოგიის ფუძემდებელმა - დაუბრუნა საერთაშორისო აღიარება წარმატებული დისკუსიით თემაზე: ენის სტადიური განვითარების შესახებ და გაათავისუფლა ლინგვისტიკა პოლიტიკისა და იდეოლოგიისაგან. **პროფ. ცირა ბარამიძე არის კავკასიოლოგთა ქართული სკოლის წარმომადგენელი, დღეს ამ სკოლის ხელმძღვანელი.** საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ შესაძლებელი გახდა კავკასიის ხალხთა ისტორიის კომპლექსური, საბჭოთა იდეოლოგიისაგან განთავისუფლებული შესწავლა. ამ მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1993 წელს შეიქმნა კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრა. ორი კათედრის - კავკასიურ ენათა კათედრისა და კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის გაერთიანებით პროფესორ ცირა ბარამიძის ინიციატივით შეიქმნა კავკასიოლოგიის ინსტიტუტი 2006 წელს. ეს არ იყო მექანიკური გაერთიანება დარგებისა, არამედ ეს იყო ნოვატორული ხედვა კავკასიის რეგიონის კომპლექსურად შესწავლისა და სწავლებისათვის. პროფესორმა ცირა ბარამიძემ საფუძველი ჩაუყარა კავკასიოლოგიისადმი ინტერდისციპლინარულ და კროსდისციპლინარულ მიდგომას და დაარსა საერთაშორისო მნიშვნელობის სამენოვანი (ქართულენოვანი, რუსულენოვანი, ინგლისურენოვანი) სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. მან გაითვალისწინა სწავლებისა და ბაზრის ევროპული მოთხოვნები, შეინარჩუნა მიღწეული წარმატებები კავკასიოლოგიაში, ხელი შეუწყო იმის განვითარებას, რაც შექმნილია ფასეული მეცნიერებაში, დანერგა ეს ფასეულობები; უარყო, რაც მიუღებელია მეცნიერულად, ხოლო რაც სადაოს წარმოადგენს, იმაზე მოაწყო მეცნიერული დავა-კამათი, რათა მეცნიერულად გაირკვას სადაო საკითხები. ცირა ბარამიძე არის მაღალი რანგის პროფესიონალი, კარგი მეცნიერი და, რაც მთავარია, მეცნიერების კარგი ორგანიზატორი. ის ათი

წელია, უძღვება კავკასიოლოგიის ინსტიტუტს. სათანადოდ გაუძღვე მეცნიერებათა კონკრეტულ დარგს, ნიშნავს გაითვალისწინო ყოველივე ზემოთქმული, ტრადიციულის შენარჩუნების პარალელურად შეძლო ინოვაციურისა და პროგრესულის დანერგვა, მიუხედავად ისეთი სირთულეებისა, რომლებიც არსებობს დღემდე პოსტსაბჭოთა სივრცეში.

დიდია პროფ. ცირა ბარამიძის წვლილი კავკასიოლოგიის საერთაშორისო მნიშვნელობის დარგად ჩამოყალიბებაში. 2006 წელს ცირა ბარამიძემ შექმნა **კავკასიოლოგიის ინსტიტუტი** (http://caucasiology.tsu.ge) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შექმნა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, მათ შორის სრულიად ახალი მიმართულებები: ოსოლოგია და აზერბაიჯანოლოგია; აღადგინა (2010 წ.) რუსულენოვანი სექტორი, რომელზეც სამთავრობო და კავკასიური ფონდის დახმარებით სწავლობენ ჩრდილოეთკავკასიელი სტუდენტები, ასევე სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან; შექმნა (2015 წ.) სწავლების ინგლისურენოვანი სექტორი უცხოელი სტუდენტებისათვის.

პროფესორმა ცირა ბარამიძემ 2007 წელს დაარსა **კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი** (http://caucasiology.tsu.ge;www.press.tsu.ge;) რომელშიც გააერთიანა კავკასიის შემსწავლელი ყველა ჰუმანიტარული დარგი, ასევე კავკასიის რეგიონის ყველა კავკასიოლოგიური სამეცნიერო ცენტრი და საერთაშორისო მნიშვნელობის კავკასიოლოგიური ცენტრები; შექმნა საერთაშორისო რედკოლეგია კონგრესისათვის; ჩაატარა კავკასიოლოგთა სამი საერთაშორისო კონგრესი, გამოსცა კონგრესების სამენოვანი მასალები და სპეციალური პუბლიკაციები. 2012 წელს ცირა ბარამიძის ინიციატივითა და სამეცნიერო ხელმძღვანელობით საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია“; გამოსცა მასალები ხუთ ენაზე. პროფ. ცირა ბარამიძის ხელმძღვანელობითა და ინივიატივით ჩატარდა არაერთი სამეცნიერო ფორუმი. პროფ. ცირა ბარამიძეს აქვს ფართო საერთაშორისო ურთიერთობები კავკასიოლოგ კოლეგებთან, ასევე სამოქალაქო სექტორსა და სახელმწიფო ინსტიტუციებთან, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია კავკასიის რეგიონი და კავკასიოლოგია. იგი უყურადღებოდ არ ტოვებს კავკასიურ კომპაქტურ თუ დისპერსულ დიასპორებს კავკასიის ფარგლებს გარეთ და ხელს უწყობს დიასპორის წარმომადგენელთა განათლებას საქართველოში. პროფ. ცირა ბარამიძე ინტენსიურად მონაწილეობს საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ფორუმებში სხვადასხვა ქვეყანაში (იტალია, პოლონეთი, რუსეთი, აშშ, ესპანეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი...). იგი არის ნოვატორი და დარგის წამყვანი ფიგურა.

2009 წელს ცირა ბარამიძემ შექმნა საერთაშორისო სამეცნიერო კოლეგია და სამეცნიერო საბჭო საერთაშორისო სამეცნიერო სამენოვანი ყოველწლიური ჟურნალის „კავკასიოლოგიური ძიებანის“ (www.press.tsu.ge; http://caucasiology.tsu.ge; dspace.nplg.gov.ge) დასაარსებლად და ამავე წელს გამოსცა ამ ჟურნალის პირველი ნომერი. ჟურნალის ფორმატი არის საერთაშორისო და, ამავდროულად, ინტერდისციპლინარული. იგი აერთიანებს ყველა ჰუმანიტარულ დარგს

კავკასიოლოგიაში, აქვს მნიშვნელოვანი და ინოვაციური რუბრიკები, ჟურნალი იხვეწება და უფრო და უფრო პოპულარული ხდება, რაშიც უდიდესია მისი დამაარსებლის, ჟურნალის კონცეპციის შემქმნელის, **მთავარი რედაქტორის**პროფესორ ცირა ბარამიძის წვლილი. უკვე გამოვიდა 6 ნომერი. სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“ ემყარება კავკასიური იდეის კონცეპტუალურ საფუძვლებს; კავკასიის რეგიონალიზაციის პრინციპებს აყალიბებს საერთო გეოგრაფიულ სივრცეში თანაცხოვრების ტრადიციული და თანამედროვე კულტურა, კავკასიელი ხალხების ლინგვისტური, ეთნოგენეტიკური, კულტურული ნათესაობა და საერთო ისტორიული წარსული. მოპოვებული მიღწევებისა და თანამედროვე კვლევების კვალდაკვალ ჟურნალი აერთიანებს კავკასიოლოგიის პრობლემათა შემსწავლელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებს და, შესაბამისად, განსაზღვრავს კავკასიელი ხალხების სიციოკულტურული ერთობის როლსა და ადგილს მსოფლიო კულტურათა დიალოგის კონტექსტში.

პროფ. ცირა ბარამიძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ფარტომასშტაბიანი საგრანტო სამუშაოები **კავკასიურ ენათა ონლაინ პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და ელექტრონული თარგმნითი ლექსიკონების** შესაქმნელად. მასვე ეკუთვნის კავკასიურ ენათა **ეტიმოლოგიური ლექსიკონის** სამენოვანი ელექტრონული ვებგვერდის შექმნის პროექტი, რომლის განხორციელებაც დაიწყება 2015 წლის აპრილიდან საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერით.

პროფ. ცირა ბარამიძე არის სამი მონოგრაფიის (ოთხი წიგნის) და ას ოცი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი; გეგმავს და ახორციელებს კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო გამოცემებს; არის ათეულობით წიგნის რედაქტორი სპეციალობაში. იგი კითხულობს კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სამივე საფეხურის ძირითად სასწავლო საგნებს; არის გამორჩეული ორატორი. კითხულობს აგრეთვე საჯარო ლექციებს „კავკასიურ სახლში“. ხშირად სტუმრობს კავკასიის რეგიონის სუბიექტების სასწავლო-კვლევით ცენტრებს; სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. 2006-2014 წლებში იყო თბილისის უნივერსიტეტის სენატის წევრი; 2013 წელს იყო ამავე უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატი.

პროფ. ცირა ბარამიძემ შეიმუშავა კონცეფცია „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“; ამ თემას მიუძღვნა კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი (I კონგრესის თემა იყო “კავკასიური ცივილიზაცია მახლობელი აღმოსავლეთის ლინგვოკულტურულ კონტექსტში”, II კონგრესისა - “კავკასიური ცივილიზაცია - ისტორია და თანამედროვეობა”). ამგვარი მიდგომით კონგრესის დამაარსებელმა და თავმჯდომარემ, პროფ. ცირა ბარამიძემ,ერთგვარად პროსპექტულად წარმოადგინა კავკასიის რეგიონისა და კავკასიოლოგიის დარგის წინაშე არსებული აქტუალური და ზოგჯერ სადაო საკითხები; არ შეუშინდა საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებული სტერეოტიპებისა და დეფორმირებული ცნობიერების მსხვრევას და საერთაშორისო მასშტაბით საპოლემიკოდ გამოიტანა დარგის ყველაზე აქტუალური, მაგრამ აქამდე მიჩქმალული პრობლემატიკა. ამ პრობლემათა განხილვაში თითოეულ კონგრესში ორასზე მეტი მეცნიერი მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და, რაც მთავარია, ყოველ მათგანს ინტენსიური

სამეცნიერო კონტაქტები გააჩნია პროფ. ცირა ბარამიძესთან.

პროფ. ცირა ბარამიძის, როგორც მეცნიერისა და მოქალაქის, ხედვა მიმართულია იქითკენ, რათა გამოიკვეთოს სამეცნიერო საფუძვლები კავკასიის ლინგვოკულტურული სივრცის ისტორიული და თანამედროვე პრობლემატიკის გადასაჭრელად. კავკასიის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ვექტორები დღეს დარღვეულია გარეშე ძალის ინსპირაციითა და პირდაპირი ჩარევით (ხშირად აგრესიული ფორმებით). კავკასიური, ისტორიულად ტოლერანტობაზე დამყარებული, მულტიკულტურალიზმი დღეს რისკებისა და საფრთხეების წინაშე დგას. პროფ. ცირა ბარამიძეს თავისი სასწავლო-სამეცნიერო და სამოქალაქო აქტივობებით უდიდესი წვლილი შეაქვს ამ რისკებისა და საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. მას გააჩნია მეცნიერული ხედვა მომავალი ერთიანი, კავკასიური მულტიკულტურული სივრცის პერსპექტივის შესახებ დიალოგის სახით. ლოკალური ცივილიზაციის კრიზისის ისტორიული და თანამედროვე მიზეზები შეწონასწორებული უნდა იყოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან. კავკასიის ფსევდოეთნოკონფლიქტების მშვიდობიანი, ჰუმანური გზით გადაჭრაში თავისი სამეცნიერო და საზოგადო წვლილის შეტანა არის პროფ. ცირა ბარამიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უპირველესი ამოცანა. რთულ გეოპოლიტიკურ არეალში ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვები გლობალიზმისა და უნივერსალიზმის, ტრადიციულისა და ინოვაციურის, უნივერსალურისა და ინდივიდუალურის შერწყმის თაობაზე; კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს შენახული კავკასიის თვითმყოფადობა და მოდერნული ტრანსფორმაცია მაშინ, როცა კავკასიელი ხალხების ბედი ნაწილობრივ გარეშე ძალებით არის განსაზღვრული; შესაძლებელია თუ არა დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება კავკასიაში; როგორია კავკასიის ინტეგრაციის (გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და კულტურულ-ცივილიზაციური) შანსები; შესაძლებელია თუ არა კავკასიელი ხალხების იდენტობის შენარჩუნება რეალურად? ეს ის საკვანძო საკითხებია, რომელთა გადასაჭრელად პროფ. ცირა ბარამიძე ინოვაციური მიდგომით გეგმავს და ახორციელებს მრავალ სამეცნიერო აქტივობას გამოსავლის პოვნის პერსპექტივით. პროფ. ცირა ბარამიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი საკითხებია: კავკასიური თვითმყოფადობის, მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის შენარჩუნება კულტურათა დიალოგის ფორმატში, კულტურული მრავალფეროვნებისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართების, კავკასიის კულტურული მრავალფეროვნებისა და შემოქმედების, კავკასიური მულტიკულტურალიზმისა და საერთაშორისო სოლიდარობის საკითხები. პროფ. ცირა ბარამიძე არის სრულიად კავკასიის სამეცნიერო წრეებისათვის აღიარებული

მკვლევარი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ლიდერი.

Description of the international experience of a candidate

Director of the Institute of Caucasiology of Faculty of Humanities at the Iv. Javakhishvili Tbilisi State University, PhD, Professor Tsira Baramidze has been heading the educational research Institute since 2006. In the last century Tbilisi justly became renowned center of Caucasiology of international importance. One of the first departments of the University - Department of the Caucasian Languages has trained a scientific staff for international centers of Caucasiology. There functioned the Russian sector, as well, which trained scientific staff for the North Caucasian countries. International contacts with relevant educational and scientific institutions of the European and Asian countries were traditionally large, despite the fact that the Soviet Union restricted such contacts. As it is well-known, the politicization of scientific branches was typical for the Soviet science. Caucasiology was of particular interest in this regard. Thanks to Academician Arnold Chikobava - founder of the Caucasiology – the institute gained back the international recognition due to a successful discussion on the stadial development of language and released linguistics from political ideology. Prof. Ts.Baramidze is a representative of Georgian Caucasiology School and the head of this School. The collapse of the Soviet Union made possible to study the complex history of the Caucasian peoples, to free it from the Soviet ideology. For this purpose, in 1993 History Department of the Caucasian Peoples was founded at the Iv.Javakhishvili Tbilisi State University. In 2006 the Institute of Caucasiology (http://caucasiology.tsu.ge) was initiated by Mrs Baramidze on the basis of two Chairs - Chair of the Caucasian Languages and Chair of the History of the Caucasian People. It was not a mechanical union of branches, but it was an innovative vision of comprehensive studying and teaching the Caucasus region. Prof. Baramidze laid the foundation for interdisciplinary and cross-disciplinary approach to Caucasiology and founded the trilingual (Georgian, Russian, English) Educational Research Institute. Considering the teaching as well as European market requirements, Mrs Baramidze retained the achieved successes in Caucasiology, contributed to the development of what were valuables in science, introduced these values, rejected those, which were scientifically unacceptable and organized the scientific disputes on arguable issues in order to make them clear scientifically. Mrs Baramidze is a high-skilled professional, scholar and, most importantly, a good organizer of science. She has been heading the Institute of Caucasiology over decades. To head properly a particular branch of science, means to take into account all foregoing, to introduce innovation and progressive ideas along with established traditions, in spite of the difficulties, which still exist in the post-Soviet space.

Prof. Ts. Baramidze's contribution to founding Caucasiology as the field of international importance is great. In 2006 Mrs Baramidze founded the Institute of Caucasiology at Iv.Javakhishvili Tbilisi State University,

created undergraduate, master and doctoral programs, including completely new directions: Ossetian and Azerbaijanian Studies, restored (2010) Russian sector, where the North Caucasian students as well as students from different countries have been acquiring knowledge under the supporting the government and the Caucasian funds, created (2015) English sector for foreign students.

In 2007 Prof. Ts. Baramidze founded International Congress of Caucasiologists, (http://caucasiology.tsu.ge; www.press.tsu.ge;) which combines all humanitarian branches on Caucasus as well as the scientific centers of Caucasiology of all Caucasus region and the international centers of Caucasiology, created an international editorial board for Congress, held three international congresses, published Congress materials and special publications in three languages. In 2012 on Mrs Baramidze's initiative and scientific guidance Georgia, Azerbaijan and Turkey jointly organized an international symposium on "***Folklore of the Caucasian peoples and Linguoculturology*** ", published the symposium materials in five languages. Many scientific forums have been held under the initiative and guidance of Prof. Ts. Baramidze. She has extensive international contacts with foreign colleagues, as well as with civil societies and state institutions, for which the Caucasus region and Caucasiology is principal. Mrs Baramidze does not leave beyond the attention the Caucasian compact and dispersed diasporas outside the Caucasus and encourages the representatives of diasporas to acquire knowledge in Georgia. Prof. Baramidze participates in international scientific forums in different countries (Italy, Poland, Russia, the US, Spain, Azerbaijan, Armenia ...) intensively. Mrs Baramidze is an innovator and a leading figure in the field.

In 2009, Mrs Baramidze founded the International Scientific Committee and Scientific Council for tri-lingual international annual scientific journal "***Caucasiologic Papers***"(www.press.tsu.ge; http://caucasiology.tsu.ge; dspace.nplg.gov.ge) and published the first issue of the journal. The format is an international and, at the same time, interdisciplinary. It combines all humanitarian branches of Caucasiology, important and innovative rubrics are published, as well. The journal is being improved and becoming more and more popular, thanks to the contribution of its founder, creator of its conception, a chief editor Professor Baramidze. 6 volumes have already been issued. A scientific journal "***Caucasiologic Papers***" is based on the conceptual grounds of the Caucasian idea. The principles of the Caucasian regionalization are formed by the traditional and modern culture of co-inhabitance in common geographic areal, linguistic, ethnogenetic, cultural relations of the Caucasian peoples and common historical past. Along with the gained achievements and the modern researches, the journal combines the humanitarian branches studying the Caucasiologic problems and defines the role and place of the socio-cultural unity of the Caucasian peoples in the dialogue context of the world cultures.

Under the Prof. Ts. Baramidze's leadership the grant work on compiling the practical guidelines of the Caucasian languages and electronic translating dictionaries are being carried out. Mrs Baramidze is a project author of tri-lingual electronic etymological dictionary of the Caucasian languages, which implementation will start in jiun 2015 under financial support of the Georgian state.

Prof. Ts. Baramidze is an author of three monographs (four books) and one-hundred and twenty scientific publications. Mrs Baramidze conducts the scientific publications of the Institute of Caucasiology. There are dozens of specialty books under her editorship. Mr Baramidze delivers the lectures on basic subjects of all three levels of Institute of Caucasiology and is an distinguishable orator. She delivers the courses of public lectures at "Caucasian House". Mrs Baramidze often visits the research centers in the Caucasus region, enjoys high prestige. In 2006-2014 she was a member of the Iv.Javakhishvili Tbilisi University Senate, in 2013 she was a candidate for Rector of the University.

Prof. Ts. Baramidze has developed the concept "*Multiculturalism and tolerance in the Caucasus*"; III International Congress of Caucasiologists was dedicated to this issue (the themes of the previous congresses: I Congress – "*Caucasian civilization in the linguistic and cultural context of the Near East"*, II Congress – "*Caucasian civilization - the history and the present*"). Through such approach, the founder and Chairman of the Congress, Prof. Baramidze prospectively outlined the current urgent, but sometimes controversial issues on the Caucasus region and the Caucasiology. She courageously collapsed the Soviet inherited stereotypes and distorted consciousness and brought to light the most important and internationally arguable, but hitherto hidden problems. More than two hundred scholars from around the world participated at the Congress to discuss each of these problems and, most importantly, each of them still is having intensive scientific contacts with Mrs Baramidze.

Prof. Ts. Baramidze's view, as a scholar and citizen, is based to outline the scientific foundations to solve the historical and contemporary problems of the Caucasian linguistic and cultural space. Today the geopolitical, geo-economic and cultural-civilization vectors of the Caucasus are broken due to the inspiration and direct involvement of alien force (often aggressive). Today multiculturalism based on Caucasian historically tolerance is facing risks and threats. Thanks to her scientific and civic activities, Prof. Baramidze is contributing greatly to avoid these risks and dangers. She has a scientific vision on perspective of the future and united Caucasian multicultural space in the form of dialogue. Historical and contemporary reasons for the crisis of local civilization must be appropriate for the world's developments. A primary goal of her life and work is to make scientific and public contribution in order to solve the pseudo-ethno-conflicts peacefully, in a humane way. The complicated geopolitical sphere conditions the arising the questions on merging the globalization and universalism, traditional and innovative, universal and individual: how can the Caucasian identity and the modern transformation be saved when the fate of the Caucasian peoples is partly determined by alien force? Can a democratic, civil society be formed in the Caucasus? What is the integration (geopolitical, geo-economic and cultural-civilization) chances of the Caucasus? Can the Caucasian peoples maintain their identity? In order to solve these key issues, Prof. Ts. Baramidze carries out innovative studies and implements the scientific activities to find a way out. The main issues of Prof. Baramidze's life and work are: to maintain Caucasian identity, diversity and pluralism within the dialogue of cultures, interaction of cultural diversity and the human rights, cultural diversity and creativity of the Caucasus, Caucasian

multiculturalism and international solidarity. Prof. Tsira Baramidze is a prominent scholar in the scientific circle in the whole Caucasus, a public figure, leader of the Georgian Caucasiology School.

Цира Барамидзе

Директор Института кавказоведения факультета гуманитарных наук Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили, доктор филологических наук, профессор Цира Барамидзе с 2006 года является руководителем учебно-научного института международного значения. В прошлом веке Тбилиси по праву превратился в признанный центр кавказоведения международного масштаба. Кафедра кавказских языков, которая была одной из первых кафедр в Тбилисском государственном университете, с самого начала приступила к подготовке кадров для международных центров кавказоведения. Функционировал русский сектор, выпускавший кадры для стран Северного Кавказа. Традиционно поддерживались тесные международные контакты с соответствующими учебными и научными институтами стран Европы и Азии, хотя Советский Союз всячески препятствовал таким связям. Для советских ученых была характерна политизация отраслей науки. С этой точки зрения кавказоведение входило в сферу особых интересов. Советская лингвистика вновь получила международное признание благодаря основоположнику кавказоведения – академику Арнольду Чикобава, развернувшему успешную дискуссию о стадиальном развитии языка и освободившему лингвистику от политики и идеологии.

Профессор Цира Барамидзе является представителем грузинской школы кавказоведов, а сегодня – руководителем этой школы. Ею внесен весомый вклад в дело становления кавказоведения как отрасли международной значимости. После распада Советского Союза стало возможным комплексное изучение истории народов Кавказа, свободное от советской идеологии. С этой целью в 1993 году в Тбилисском государственном университете была создана кафедра истории народов Кавказа. По инициативе Циры Барамидзе в 2006 году были объединены две кафедры – кафедра кавказских языков и кафедра истории народов Кавказа и создан Институт кавказоведения. Это не было механическим объединением отраслей, а это было новаторским видением комплексного изучения Кавказского региона. Профессором Цирой Барамидзе заложены основы

интердисциплинарного и кросс-дисциплинарного подхода к кавказоведению и с учетом специфики отрасли создан трехъязычный (обучение на грузинском, русском и английском языках) учебно-научный институт международного значения. Ею учтены европейские требования к обучению и рынку, сохранены достигнутые успехи в кавказоведении, способствовавшие дальнейшему развитию данной отрасли науки.

Цира Барамидзе является профессионалом высокого ранга, и, что самое главное, хорошим организатором. В течение десяти лет она руководит Институтом кавказоведения, который был создан ею в 2006 году (http://caucasiology.tsu.ge) в Тбилисском государственном университете и составлены программы бакалавриата, магистратуры и докторантуры в том числе совершенно новое направление: осетиноведение и азербайджановедение; восстановлен (в 2010 г.) русский сектор, на котором при поддержке правительства обучаются студенты из Северного Кавказа, а также студенты из разных стран. В 2015 году по ее инициативе был создан англоязычный сектор для иностранных студентов.

В 2007 году профессором Цирой Барамидзе был основан Международный конгресс кавказоведов(http://caucasiology.tsu.ge; www.press.tsu.ge), объединивший все гуманитарные отрасли, изучающие Кавказ, а также все кавказоведческие научные центры Кавказского региона и кавказоведческие центры международного значения. Для Конгресса была сформирована международная редколлегия. Под руководством профессора Ц. Барамидзе было проведено три Международных конгресса кавказоведов, на трех языках изданы материалы Конгресса и специальные публикации.

В 2012 году по инициативе и под научным руководством Ц. Барамидзе при участии Грузии, Азербайджана и Турции был проведен Международный симпозиум «Фольклор народов Кавказа и лингвокультурология». Материалы симпозиума были изданы на пяти языках.

Проф. Цира Барамидзе имеет широкие международные связи с коллегами-кавказоведами, а также с гражданским сектором и государственными институциями, для которых важными являются Кавказский регион и кавказоведение. Она не оставляет без внимания кавказские компактные и дисперсные диаспоры за пределами Кавказа и помогает ее представителям получить образование в Грузии. Профессор Ц. Барамидзе принимает активное участие в научных форумах международного значения в разных странах (В Италии, Польше, России, США, Испании, Азербайджане, Армении...).

В 2009 году Ц. Барамидзе создала Международную научную коллегию и ученый совет с целью издания международного трехъязычного ежегодного журнала «Кавказоведческие разыскания» (www.press.tsu.ge;http://caucasiology.tsu.ge; dspace.nplg.gov.ge). Первый том журнала вышел в свет в том же году. Формат журнала являтся международным и в то же время интердисциплинарным. Он объединяет гуманитарные отрасли в кавказоведении, охватывая все важные и инновационные рубрики. И в этом велика заслуга основателя журнала, создателя его концепции, главного редактора профессора Ц. Барамидзе. Уже вышли в свет шесть номеров журнала. Научный журнал «Кавказоведческие разыскания» опирается на концептуальную основу кавказской идеи. Принципы регионализации Кавказа формируются единой традиционной и современной культурой совместного проживания кавказских народов в общем географическом пространстве, а также их лингвистическим, этногенетическим и культурным родством и общим историческим прошлым. Опираясь на уже имевшиеся и современные научные достижения, журнал объединяет области гуманитарных наук, изучающих проблемы кавказоведения и, соответственно, определяет роль и место социокультурной общности кавказских народов в контексте диалога культур.

Под руководством профессора Ц. Барамидзе ведется широкомасштабная работа с целью привлечения грантов для создания онлайн учебников для практического изучения кавказских языков и электронных переводных словарей.

Профессор Ц. Барамидзе является инциатором создания электронной веб-страницы трехъязычного этимологического словаря кавказских языков. Осуществление проекта начнется с апреля 2015 года при поддержке правительственных структур Грузии.

Ц. Барамидзе является автором трех монографий (четырех книг) и ста двадцати научных публикаций. Ею планируются и осуществляются научные издания Института кавказоведения. Она является редактором десятка книг по специальности. Ц. Барамидзе читает все основные предметы на трех ступенях обучения Института кавказоведения, а также читает публичные лекции в «Кавказском доме», является искусным оратором и частым гостем учебно-исследовательских центров субъектов Кавказского региона, пользуясь высоким авторитетом в научных кругах. В 2006-2014 гг. являлась членом сената Тбилисского университета. В 2013 году являлась кандидатом на должность ректора этого же университета.

Ц. Барамидзе является автором концепции «Мультикультурализм и толерантность на Кавказе». Этой теме ею был посвящен III Международный конгресс кавказоведов (I конгресс – «Кавказская цивилизация в лингвокультурном контексте Ближнего Востока», II конгресс – «Кавказская цивилизация – история и современность»). Таким подходом основатель и председатель Конгресса Ц. Барамиде затронула актуальные и спорные вопросы, стоящие перед Кавказским регионом и кавказоведением. Ее не испугала необходимость разрушения унаследованных от прошлого советских стереотипов и деформированного сознания, поставив на повестку дня самые злободневные проблемы отрасли международного масштаба. В обсуждении этих вопросов на каждом конгрессе принимало участие более двухсот ученых из разных стран мира и, что самое главное, каждый из них поддерживает тесные научные связи с Цирой Барамидзе.

Профессор Цира Барамидзе как ученый и гражданин ставит своей целью наметить научные основы для решения исторических и современных проблем лингвокультурного пространства Кавказа. Геополитические, геоэкономические и культурно-цивилизационные векторы Кавказа нарушены благодаря инспирации и прямому вмешательству внешних сил. Кавказский мультикультурализм, исторически основанный на толерантности, сегодня стоит перед рисками и опасностями. Своей учебно-научной и гражданской активностью профессор Цира Барамидзе вносит огромный вклад в дело устранения этих рисков и опасностей. Она обладает научным видением перспектив будущего единого Кавказского мультикультурного пространства. Исторические и современные причины кризиса локальной цивилизации должны соотносится с протекающими мировыми процессами.

Важнейшей задачей всей жизни и научной деятельности Циры Барамидзе является мирное урегулирование псевдоэтноконфликтов на Кавказе. В сложном геополитическом ареале возникают вопросы о слиянии глобализма и универсализма, традиционного и инновационного, универсального и индивидуального, а также встают вопросы о том, как можно сохранить самобытность Кавказа в то время, как судьба кавказских народов частично определяется внешними силами, возможно ли сформировать на Кавказе демократическое гражданское общество, каковы шансы геополитической, геоэкономической и культурно-цивилизационной интеграции Кавказа. возможно ли реально сохранить идентичность кавказских народов? Это те узловые вопросы, для решения которых Ц. Барамидзе прибегает к инновационным подходам.

Профессор Ц. Барамидзе является признанным ученым-кавказоведом, исследователем и общественным деятелем, лидером грузинской школы кавказоведов.

პროფესორი ცირა ბარამიძე

უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია

უნივერსიტეტში ჩემი მოღვაწეობის (თითქმის 4 ათეული წელი) სასიცოცხლო ამოცანად მესახება პროფესორებსა და სტუდენტებთან ერთად განვახორციელო იდეა „ავტონომია უნივერსიტეტს!“

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომლებიც თანამიმდევრულად **ხელს შეუწყობს** სამართლებრივ ფორმატში უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპების შემცველი ცვლილებების გატარებას.

2016 წლის გაზაფხულზე თსუ-ში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელთა კვალდაკვალ უნივერსიტეტში მოხდა სტუდენტთა და პროფესორთა პოლარიზება, ნათელი გახადა უნივერსიტეტში სისტემური ცვლილებების გატარების აუცილებლობა; თუმცა მე ამის შესახებ სამი წლის წინათ ვწერდი. პოსტსაბჭოთა სივრცეში საბჭოთა კავშირის დანგრევიდან 25 წლის შემდეგაც კი თსუ-მ ვერ შეძლო გამოსულიყო საბჭოთა მემკვიდრეობის ცნობიერებიდან და ვერ შეძლო განეხორციელებინა ნამდვილი საუნივერსიტეტო იდეა. თსუ-ის პოლიტიზირების მანკიერი ტრადიცია ინერციით შენარჩუნებულ იქნა წინა პერიოდში, რამაც ერთგვარად შეუნარჩუნა ნიადაგი ხელისუფლებას, ჩარეოდა საუნივერსიტეტო საქმიანობაში; უფრო მეტიც, ემართა იგი; ხოლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებმა ვერ შეძლო, თავიდან აეცილებინა უნივერსიტეტში სტუდენტთა დაპირისპირება. უნივერსიტეტის ავტონომიურობის ხარისხი შეაპირობა უნივერსიტეტის სამართლებრივ-ორგანიზაციულმა ფორმამ და ამ ფორმის შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებებმა.

რა მოტივაცია გამაჩნია უნივერსიტეტის მართვის სისტემაში მოსვლისათვის?

- პროფესურასა და სტუდენტობასთან ერთად ვიმუშაოთ, რათა განვახორციელოთ და დავიცვათ საუნივერსიტეტო იდეა;
- განვავითაროთ აკადემიური საზოგადოების წევრთა თანასწორუფლებიანობისა და საუნივერსიტეტო მართვაში ჩართულობის პრინციპები;
- შევამზადოთ საფუძვლები უნივერსიტეტის რეალური ავტონომიურობისათვის; მოვამზადოთ უმაღლესი განათლების კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი ამ ცვლილებების ინიცირებისათვის; მივიღოთ

მონაწილეობა ამ საკანონმდებლო ცვლილებებში, როგორც ბენეფიციარებმა. ეფექტურად წარვმართოთ თსუ-ის მართვის ორგანოების მუშაობა იმ მიმართულებით, იმ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებით, რომლებიც შეაპირობებენ უნივერსიტეტის რეალურ ავტონომიურობას;

- დავაარსოთ უნივერსიტეტის განვითარების ფონდი; ავამაღლოთ სამოქალაქო საზოგადოების განწყობა უნივერსიტეტისადმი მეურვის როლის განხორციელებისათვის; განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე გრძელვადიანი და შედეგიანი ინვესტიციაა.
- ვიმუშაოთ უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლების გაზრდისათვის;
- შევქმნათ სამართლებრივი და მატერიალური საფუძვლები უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისათვის, ასევე საუნივერსიტეტო კამპუსის განსახორციელებლად;
- უნივერსიტეტის მართვის სისტემებმა აქტიურად უნდა იმუშაონ სახელმწიფოს მართვის სტრუქტურებთან, ასევე საკანონმდებლო ორგანოსთან, რათა უმაღლესი განათლების კანონში შევიდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც გარანტირებულს გახდის უნივერსიტეტის ავტონომიას.

როგორია ავტონომიურობის პრობლემა უნივერსიტეტში?

დღეს პროფესურის უმეტესი ნაწილი ამ საკითხს არც განიხილავს და მას აკმაყოფილებს ის, რომ უჭირავს აკადემიური თანამდებობა, აქვს გარანტირებული ხელფასი და აგრძელებს თავის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. ერთი შეხედვით, ეს სწორედ ის სიტუაციაა, რომელშიც უნდა მოღვაწეობდეს პროფესორი; რომ არა პერიოდულად განხორციელებული რყევები, რომლებიც არღვევს უნივერსიტეტის მუშაობის რიტმს, ხელს უშლის სასწავლო პროცესს, მეცნიერ-პროფესორებს კი იძულებულს ხდის, გამოვიდნენ თავიანთი სამუშაო კაბინეტებიდან. ე.ი. „მოჩვენებითი მშვიდობა“ რეალურ სახეს აჩვენებს. რეალური სახე კი ის არის, რომ უნივერსიტეტი ნომინალურადაც არ არის ავტონომიური, რეალურად სახელმწიფოს (უფრო ზუსტად, ძალაუფლების მქონე ხელისუფლების) ხელში საჭიროების შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტრუმენტია თავისი ინტერესების გასატარებლად. საბჭოთა კავშირის დანგრევიდან 25 წლის შემდეგ ისეთივეა უნივერსიტეტი და მისი მართვის სისტემა, თუ უფრო უარესი არა, როგორიც ის ტოტალიტარული რეჟიმის დროს იყო. ნაწილობრივ შეიცვალა განათლების კანონი, მათ შორის, უმაღლესი განათლების კანონი და რეფორმატორები ცდილობდნენ და ცდილობენ თითქოს დღესაც, დემოკრატიული ქვეყნის განათლების სისტემას დაამსგავსონ იგი, მაგრამ ამაოდ. ბოლო პერიოდში ეს საკანონმდებლო ცვლილებები საერთოდაც რეტროგრადულია (ამის შესახებ კონკრეტულად ქვემოთ ვისაუბრებ). რატომ არის დისონანსი რეფორმასა და მის

განხორციელებას შორის? რეფორმებს საფუძვლად უდევს პოლიტიკური ნება, რომელიც მთავრობებთან ერთად რადიკალურად იცვლება. არადა, განათლებისა და მეცნიერების არსი უცვლელი რჩება თავისი იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე. ამ ბურთაობაში ზარალდება თაობები და ზოგჯერ მათი დამოკიდებულება მწვავედ გამოხატავს სწორედ ამ პოლიტიკური ზიგზაგებით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგჯერ; როგორც კი ვნებათა ღელვა ჩაცხრება ხელისუფალთა მორიგი მედიატორობისა და უშუალო ჩარევის, დაპირებების შედეგად, ეს პრობლემებიც მიიძინებენ. მინდა გითხრათ, რომ მათს გამოღვიძებას ერთი პატარა ნაპერწკალი სჭირდება და მას „ძალზე წარმატებულად“ ახორციელებს ნებისმიერი პოლიტიკური ძალა ნებისმიერ დროს.

პრობლემას ორი მხარე აქვს:

1. უნივერსიტეტი უნდა იყოს თავისუფალი, ავტონომიური, მაგრამ არ არის არც სამართლებრივად და არც რეალურად; სისტემურად და სისტემატურად არც არავინ იბრძვის უნივერსიტეტის ავტონომიისათვის სტუდენტების გარდა. დღეს, უნდა ითქვას, სტუდენტებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა აქვს უნივერსიტეტის ავტონომიურობის ჩამოსაყალიბებლად, ვიდრე, სამწუხაროდ, პროფესურას. ეს რეალობაა.
2. სახელმწიფოს უნდა ესმოდეს, რომ უნივერსიტეტი თავისი არსით სამოქალაქო ინსტიტუციაა; სახელმწიფოს ან არ ესმის უკეთეს შემთხვევაში, ან ესმის, მაგრამ ხელს არ აძლევს უნივერსიტეტის ავტონომია. რატომ? იმიტომ, რომ საბჭოთა ტოტალიტარულ სახელმწიფოში ინტელიგენცია წარმოადგენდა დასაყრდენს ერთადერთი პოლიტიკური პარტიისათვის. ასე იქმნებოდა საბჭოთა სინამდვილეში პარტნომენკლატურული მართვა უნივერსიტეტში. ეს მავნე პრაქტიკა დღესაც ცოცხლობს, ოღონდ იღებს კიდევ უფრო მახინჯ ფორმას და ეს ხელსაყრელია პოლიტიკური ძალებისათვის, რომლებიც, საბედნიეროდ, დღეს მხოლოდ ერთადერთი არ არის, მაგრამ, საუბედუროდ, უნივერსიტეტის ცხოვრებაში ახდენენ პროფესორთა და სტუდენტთა პოლარიზებას. ეს კი რადიკალურად ეწინააღმდეგება საუნივერსიტეტო იდეას. პოლარიზებული და არეული უნივერსიტეტი ხელსაყრელი ნიადაგია პოლიტიკური ძალებისათვის (და არა მარტო მათთვის) უნივერსიტეტში საკუთარი „წესრიგის“ დასამყარებლად. თანაც გვაყვედრიან: აი, უნივერსიტეტი ვერ ახერხებს თავის მართვას და აუცილებელია ზემდგომი ორგანოს ჩარევა.

   ხელისუფლებას ორი რამ უნდა ევალებოდეს უნივერსიტეტის მიმართ:
   1. შექმნას გამართული საკანონმდებლო ბაზა;
   2. დაეხმაროს უნივერსიტეტს ფინანსურად.

   ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ განათლების სისტემის, მათ შორის უნივერსიტეტის, პოლიტიზირება აზიანებს არა მარტო განათლების სისტემას, არამედ ძირს უთხრის ხელისუფლებას და აჩქარებს მის ცვლას, რადგან

განათლების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე სფეროა საზოგადოების ცხოვრებაში.

ამგვარად, პროფესორთა ნაწილი არ აცნობიერებს უნივერსიტეტის ნამდვილი იდეის - ავტონომიურობის - განხორციელების აუცილებლობას და დღემდე ცოცხლობს პატრონაჟის (ზემდგომის) მოლოდინითა და პასუხისმგებლობით, ისინი ელოდებიან გადაწყვეტილებებს ზემოდან. ხელისუფლებას კი არ აძლევს ხელს „დააგდოს ძველი გზა“, მიუხედავად იმისა, რომ ეს გზა ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს. ეს იმას ჰგავს, ძველ ჭურჭელში რომ ახალი ღვინო ჩავასხათ. საქართველოში განათლების სისტემაში ფორმის ცვლას არ მოჰყოლია შინაარსობრივი ცვლა, მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა ცვლილებები. ეს ეხება ძირითადად სასწავლო პროგრამების მოდერნიზებას და საერთაშორისო ბაზარზე მორგებას. საბჭოთა მანკიერი პრინციპები მართვაში (განსაკუთრებით კლანური მართვა) თსუ-ს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. „დემოკრატობანა“ უნივერსიტეტმა თამაშად გაიხადა უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნების დროს, რისი დასტურია უგამონაკლისოდ ყველა არჩევნები თსუ-ში ბოლო პერიოდში ჩატარებული. გამონაკლისად მინდოდა ჩამეთვალა ახალი აკადემიური საბჭოს არჩევნები და სენატის განახლება-შევსება. ერთი სიტყვით, აქამდე ძველი აკადემიური საბჭო, „ლეგიტიმაციამოპოვებული“ მართვის ორგანოები უაპელაციოდ ასრულებდნენ დირექტივებს ზემოდან, არ იჩენდენ ინიციატივას საკანონმდებლო ცვლილებებისათვის მაშინაც კი, როცა თავზე ექცეოდათ უნივერსიტეტი. ასე იყო დღემდე. არჩევნების დროს დაანონსებული იყო და არის დღესაც შედეგი, პროფესურის ერთ ნაწილში ნიჰილიზმია - „მაინც არაფერი შეიცვლება“, ხოლო ის ნაწილი პროფესურისა, რომელიც უშუალოდ იყო „ჩართული მართვაში“, თავს კომფორტულად გრძნობდა. უნივერსიტეტის მომავალში ისინი საკუთარ თავს ხედავდნენ და არა უშუალოდ უნივერსიტეტის პროგრესს. სწორედ ამის შედეგი იყო 2016 წლის გაზაფხულის მოვლენები უნივერსიტეტში.

დღეს თითქოს ვითარება შეიცვალა. ახალი აკადემიური საბჭოს წინაშე დგას მწვავე წინა გამოცდილება და ახალი პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის განვითარების საქმეში. მინდა მჯეროდეს, რომ დღევანდელი აკადემიური საბჭო ზუსტად განსაზღვრავს რისკ-ფაქტორებს უნივერსიტეტის ავტონომიის წინაშე. უნივერსიტეტის ავტონომიის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი აკადემიური თავისუფლება გახლავთ. აკადემიური თავისუფლების შემთხვევაში პროფესორთა და სტუდენტთა გადაწყვეტილებებზე გავლენას ვერ მოახდენს ვერც ერთი პოლიტიკური, რელიგიური ან სოციალური სტრუქტურა, მატერიალური მდგომარეობა და სხვადასხვა ჯგუფისადმი კუთვნილება - ყველაზე მნიშვნელოვანი, პირველხარისხოვანი ფასეულობა პროფესიონალიზმი და სამართლიანობაა.

უნივერსიტეტის ავტონომიურობაზე საუბრისას უმნიშვნელოვანესია ფინანსური დამოუკიდებლობის ასპექტი. უნივერსიტეტი არსებობს

თვითდაფინანსებით, სტუდენტების მოტანილი თანხით, მაგრამ ამ თანხებს დღეს სახელმწიფო ხაზინის გავლით განკარგავს უნივერსიტეტი; უნივერსიტეტის დაფინანსებაში სახელმწიფოს წილი ნულია. უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რბილად რომ ვთქვათ, არარაციონალურად იხარჯება, ან ზოგჯერ ვერც კი იხარჯება და ხაზინას უბრუნდება. უნივერსიტეტი კი განიცდის სტაგნაციას.

ასეთი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტის ავტონომიურობას:



დავბრუნდეთ უნივერსიტეტის შექმნის ეპოქაში და იქნებ მომავალი აღმოვაჩინოთ. 1917 წლის 12 მაისს პეტრე მელიქიშვილის ბინაში დაარსდა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა უნივერსიტეტის

დაარსების საქმეში. 1918 წელს გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გახსნა მხოლოდ მას შემდგომ გახდა შესაძლებელი, რაც თბილისში დაარსდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი ბანკი, რომელიც თავის შემოსავალს ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესებს ახმარდა. ამგვარად, უნივერსიტეტი დაარსდა როგორც სამოქალაქო ინსტიტუცია.

მადლიერი ერი არ ივიწყებს იმ პირველ მეცენატებს, რომლებიც იღვწოდნენ უნივერსიტეტის განვითარებისათვის; მაგალითად, თსუ I კორპუსის (ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის) მშენებლობის მეცენატები:

> დავით სარაჯიშვილი - ფილოსოფიის დოქტორი, მრეწველი, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში; ძმები ზუბალაშვილები (პეტრე, იაკობ, სტეფანე და ლევანი) - მეწარმეები; ნიკო ცხვედაძე - მშენებლობის ორგანიზატორი და მეცენატი; კონსტანტინე მუხრანბატონი - მეღვინე და მრეწველი, სოფ. მუხრანში ახალი ტიპის მეურნეობის დამფუძნებელი; პ. თუმანიშვილი, ა. მდივანი, გ. განძიელი, ი. საგინოვი, გ. სხირტლაძე, ს. ბებუთაშვილი, ნ. ხერხეულიძისა.
>
> თსუ-ს დაარსების მეცენატები: მარიამ-ჯამბაკურ ორბელიანი - დაარსა კიტა აბაშიძის სახ. სტიპენდია - 4 ათასი მან., ელენე ალ. აბულაძე - დაარსა თავისი მამის სახელობის სტიპენდია - 4 ათასი მან., ყარამან კიკნაველიძე - მრეწველი, მექი ბექაია - ქიმიის პროფესორი თსუ-ში, ივანე აბაშიძე, ვარლამ ჭრიალაშვილი - 5 510 მან., კოლექტიური შემოწირულობები: საქართველოს საშუალო სასწავლებლების მოწაფეები სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან, ჯარისკაცები, მაგ., ქართველთა 37-ე მსროლელთა პოლკი, სხვადასხვა დასახლებებში საღამოების გამართვით მიღებული თანხები, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში არსებული სათვისტომოებიდან (ტაშკენტი, მანჯურია...), კოოპერატივიდან და სხვადასხვა სამეწარმეო ამხანაგობებიდან...
>
> ჩვენ, მადლიერი ადამიანები, არ ვივიწყებთ მათ ღვაწლს და მიგვაჩნია, რომ ისტორიული სამართლიანობით შეფასდება და დაფასდება ყველა პერსონა, რომელიც დღესაც შეიტანს უნივერსიტეტის განვითარებაში წვლილს. მინდა საქვეყნოდ იყოს ცნობილი ამ მეცენატთა სახელები და ეს იყოს საუკეთესო მაგალითი ახალი საზოგადოებრივი ინიციატივებისათვის, ბიზნესმენებისათვის, მეცენატებისთვის. უნივერსიტეტი ჩვენი ერის ღირსების

გამომხატველია. მას დღეს უფრო უჭირს, ვიდრე შექმნის დროს უჭირდა. იგი საქართველოს ყველა მოქალაქის წმინდა სახლია, კავკასიის ერთადერთი ეროვნული უნივერსიტეტია, რომელმაც სწორედ ეროვნული მუხტის შესანარჩუნებლად ყველაზე დიდი დარტყმები და რეპრესიები გადაიტანა. ჩვენს უნივერსიტეტს კავკასიის ყველა ქვეყანა იმედის თვალით შემოჰყურებს. მინდა მქონდეს იმედი, რომ მმართველი ორგანო, რომელზედაც დღეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, ამ იმედს არ გაამტყუნებს. მინდა საზოგადოებას ვთხოვო, გვერდში დაუდგეს სტუდენტობასა და პროფესურას, რათა მათ გადადგან მხნე და სამართლიანი ნაბიჯები, როგორი ძნელიც არ უნდა იყოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფრო მწვავე კოლაფსისთვისაა განწირული, ვიდრე გაზაფხულზე იყო. ჩვენ, პროფესორებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი თაობა, სტუდენტობა, თავისუფლებაში დაბადებული თაობაა და მათ არ იციან უზნეო კომპრომისები, მათ ვეღარავინ დააბრუნებს მონობაში. ამიტომ არ უჭირთ მათ ბრძოლა თავისუფლებისათვის, რაშიც ჩვენ, პროფესორები, ვყოყმანობთ. ეს გასაგებიცაა, ჩვენ ხომ მძიმე მემკვიდრეობა გვერგო წილად.

გასაბჭოების შემდეგ უნივერსიტეტმა დაკარგა სამოქალაქო ინსტიტუციის სტატუსი და დღემდე ეს სტატუსი და სტატუსის შესაბამისი რეალობა მას მოსაპოვებელი აქვს. ამ ამოცანის განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტის პროფესორთა და სტუდენტთა მზაობაა საჭირო. უნდა აღინიშნოს დღევანდელი სტუდენტობის დამსახურება ავტონომიის მოთხოვნის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, წინა არჩევნებში აკადემიურმა საბჭომ არ დაუჭირა მხარი კანდიდატს, რომლის მთავარი სამოქმედო გეგმა უნივერსიტეტის ავტონომიურობის განხორციელება იყო. სწორედ ამის გამო უნივერსიტეტი ბოლო 10 წლის მანძილზე ზიგზაგებით უკან ბრუნდება და ვერც ერთი „არჩეული“ რექტორი ვერ ამთავრებს თავისი ლეგიტიმაციის ვადას. დადგა დრო, უნივერსიტეტი დაუბრუნდეს იმ თვისობრივ მდგომარეობას, როგორადაც შექმნეს იგი მისმა დამაარსებლებმა (სამოქალაქო ინსტიტუცია). ერთგვარ სლოგანად ვაქციოთ: „წინ, ჯავახიშვილის იდეისაკენ!“ და ჩვენ აღმოვჩნდებით მომავალში და არა საბჭოთა წარსულში. თუ უნივერსიტეტის მმართველი ორგანო შეასრულებს ზემდგომი ორგანოს დაკვეთას, უნივერსიტეტი ვერ განახორციელებს თავის ძირითად ფუნქციას. ავტონომიურობა არის ერთადერთი სწორი და უმტკივნეულო გამოსავალი დღეს არსებული ჩიხიდან. წინააღმდეგ

შემთხვევაში ფოტოფირივით დატრიალდება უახლოესი წარსული. საჭიროა პროფესორთა აქტიურობა, სტუდენტები არიან მოტივირებულები ამ ამოცანებისათვის და თუ ჩვენ, პროფესურა მათ არ დავუდგებით გვერდში, უნივერსიტეტი კვლავ პოლარიზებული აღმოჩნდება. უნივერსიტეტის რექტორი უნდა ირჩეოდეს საყოველთაო წესით, მაგრამ დღეისთვის პოლიტიკური ვითარების გამო (კარს მომდგარი საპარლამენტო არჩევნები) ვერ (თუ არ) მოხერხდა განათლების უმაღლეს კანონში ამ ცვლილების შეტანა, თუმცა არსებობდა გონივრული ვადა ამ ცვლილებების განსახორციელებლად. აკადემიური საბჭოს სწორ გადაწყვეტილებას შეუძლია დაალაგოს ვითარება საკანონმდებლო ფორმატში. რექტორის დროზე ადრე გადაყენება გაზაფხულზე სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ არ შეცვლილიყო რექტორის არჩევის წესი და ეს არ გამხდარიყო საყოველთაო. ეს ხელს არ აძლევდა პოლიტიკურ ძალებს, თორემ ჩვენ შემსწრე ვართ დაჩქარებული წესით კანონში ცვლილებების შეტანისა 2013 წლის მაისში იმგვარად, რომ კანონის მომზადების ყველა სამართლებრივი წინაპირობა დაირღვა.

სასწავლო პროცესი

ჩემმა მოღვაწეობამ თსუ-ს ორი მოწვევის სენატში (წარმომადგენლობით საბჭოში) 8 წლის მანძილზე ნათლად დამანახა ის პრობლემები, რომლებიც მრავლად დგას უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წინაშე. საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად უნივერსიტეტის მართვის ორგანოებმა უნდა იზრუნონ დეპარტამანტების უფრო სრულყოფილი, მოქნილი მუშაობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დღევანდელი ვითარებისათვის უნივერსიტეტმა ძალზე დიდი სამუშაო გასწია (რისი შემსრეცა ვარ), აუცილებელია გადაისინჯოს სტრატეგიები და შესაძლებლობები **სასწავლო პროცესის მართვის** საქმეში, რადგან უნივერსიტეტთან სტუდენტის პირველი შეხება სწორედ ამ დეპარტამენტით იწყება. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის მოქნილი მუშაობა ქმნის უნივერსიტეტის იმიჯს. უნივერსიტეტმა უნდა განავითაროს დისტანციური სწავლების პრაქტიკა სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით. ეს იქნება უნივერსიტეტისათვის დამატებითი შემოსავლების შესაძლებლობა და, ამავდროულად, პრესტიჟი. უნივერსიტეტმა უნდა აამუშაოს უცხოენოვანი სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამები. ეს არის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნა. უნივერსიტეტმა უნდა მოაგვაროს სადოქტორო პროგრამებზე მისანიჭებელი საკვალიფიკაციო პროგრამების სამუშაო ერთადერთი ენის საკითხი იმ მოტივაციით, რომ კავკასიის ქვეყნები, და არა მარტო კავკასიის ქვეყნები, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ჩამოდიან ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაძლებელი უნდა იყოს, თუ სწავლება არის პირველ ორ საფეხურზე უცხოენოვანი, მესამე საფეხურზეც გაგრძელდეს და ამ ენაზე სწავლებასტან ერთად შესაძლებელი იყოს სადოქტორო დაცვაც. ჩვენ უნდა შევიტანოთ ინიციატივა საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ამ მიმართულებით. ჩვენ უნდა დავაფინანსოთ ახალგაზრდა მკვლევრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების, განსაკუთრებული, ინოვაციური კვლევები და, რაც მთავარია, ჩავრთოთ ისინი სამეცნიერო პროექტებში. სამეცნიერო კვლევების შედეგები, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სასწავლო პროგრამასთან, აუცილებლად უნდა შეტანილ იქნეს სასწავლო პროგრამებში, სილაბუსებში. უნდა მოვთხოვოთ პროფესურას, ლექციები ჩატარდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ყველა აუდიტორია უნდა იყოს აღჭურვილი უახლესი აპარატურით. უნდა ვიზრუნოთ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური გაუმჯობესებისათვის, რათა სასწავლო პროცესი (სამეცნიეროც) იყოს წარმატებული. ჩვენ ვმონაწილეობთ გაცვლით პროგრამებში საკმაოდ წარმატებულად, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია შევქმნათ უცხოეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. უცხოენოვანი პროგრამებისთვის მოვამზადოთ რიდერები, სახელმძღვანელოები. უნივერსიტეტმა უნდა დააფინანსოს ლიცენზირება, თარგმნა და გამოცემა უცხოენოვანი სახელმძღვანელოებისათვის, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო და სხვა, არაჰუმანიტარული დარგებისათვის. რაც შეეხება, ჰუმანიტარულ დარგებს, რომლებშიც ჩვენი უნივერსიტეტი არის წამყვანი საერთაშორისო დონეზე, უნდა შევძლოთ ჩვენი სახელმძღვანელოებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია, გამომდინარე იქიდან, რომ პრიორიტეტი ამ მიმართულებით ჩვენ გვეკუთვნის. უნივერსიტეტი უნდა მოემზადოს კარს მომდგარი აკრედიტაციისათის, უნდა დახვეწოს და განავითაროს სასწავლო პროგრამები, ჩაატაროს პროგრამების პრეზენტაციები და გამოყოს თანხები ჩვენი პროგრამების პოპულარიზაციისათვის, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს არ არის ერთადერთი უნივერსიტეტი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და კონკურენციაც ძალზე მაღალია. არ უნდა დავუშვათ უნივერსიტეტის რეიტინგის დაბლა დაწევა და იმიჯის შელახვა.

სამეცნიერო კვლევები

უნივერსიტეტი არის მძლავრი **სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების** კერა. უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის ფაკულტეტების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ უნივერსიტეტში

მოტანილი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტების მაჩვენებელი უტყუარად ადასტურებს სხვა სასწავლო დაწესებულებებთან შედარებით უნივერსიტეტის პრიორიტეტს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი; უნდა გაიზარდოს თავად უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევების დაფინანსება, უნდა მოეწყოს თანამედროვე დონეზე კვლევითი ლაბორატორიები, ხელი უნდა შეეწყოს ინოვაციურ პროექტებს, განსაკუთრებით ისეთ პროექტებს, რომელთა შედეგები გათვლილია წარმოებასა და მრეწველობაში სიახლეებზე. უნივერსიტეტმა უნდა შეძლოს ამ გზითაც, კერძოდ, სიახლეების წარმოებაში დანერგვით, ეკონომიკური შემოსავლების გაზრდა. კანონმდებლობით ზუსტად უნდა განისაზღვროს სამეცნიერო ინსტიტუტების სტატუსი, დაფინანსების წყაროები, განვითარების სტაბილურობა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, ამ ინსტიტუტების შენობების შესაბამისობა მათ ფუნქციასთან. ჩემთვის, როგორც ლინგვისტისთვის, ღირსების შემლახველია იმ შენობაში მუშაობა, რომელშიც დღეს ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი ფუნქციონირებს თანამშრომლების სიცოცხლის რისკ-ფაქტორებით. დანგრევის პირას მდგარი შენობა მამაც ლინგვისტებს ვერ აშინებს, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. უნდა არსებობდეს სახელმწიფოებრივი ხედვა განსაკუთრებით ეროვნული ინსტიტუტების (ენათმეცნიერების, ისტორიისა და მატერიალური კულტურის, ლიტერატურის) ერთ სივრცეში განსათავსებლად. ვიზრუნებ საერთაშორისო სტანდარტების ახალი შენობის ასაშენებლად, რათა დაცული იქნას ჩვენი ეროვნული კულტურული და სულიერი მემკვიდრეობა, მეცნიერებს კი შეექმნათ ნორმალური სამუშაო პირობები. ყველა სამეცნიერო ინსტიტუტი საჭიროებს ფინანსურ-მატერიალურ მხარდაჭერას, რათა აქ წარმოდგენილი დარგები განვითარდეს. ეს უნდა იყოს სახელმწიფოს სტრატეგია მეცნიერების დარგებისადმი, ეს უნდა იყოს უნივერსიტეტის ამოცანა. ამ ინსტიტუტების ინტეგრირება საუნივერსიტეტო სივრცეში არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმით, რომ მათ მიეცათ შესაძლებლობა, წარმოდგენილი იყვნენ უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში. ჩვენ უნდა მოვიზიდოთ თანხები როგორც სამეცნიერო პროექტებისათვის, ასევე სამეცნიერო ლაბორატორიებისა და ინსტიტუტების მატერიალური ტექნიკური ბაზის განახლებისათვის. ამისთვის უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფო პროექტები, ასევე მეცენატების პრაქტიკა და ეკონომიკური შემოსავლებით მიღებული თანხები. უნივერსიტეტმა არ უნდა დააბრუნოს თანხა ხაზინაში, მაშინ როცა მას ავტოფარეხიც კი არ უვარგა და განახლებას კი არა, საერთოდ, ახლიდან შექმნას საჭიროებს. უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სამეცნიერო ფორუმებისათვის, განსაკუთრებით, კონგრესებისათვის გამოყოფილი თანხები და ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერთა ინტეგრაციას

საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებებში. ეს არის ჩვენი უნივერსიტეტის პრესტიჟი და ეს არის ჩვენი მომავალი. 2007 წელს კავკასიოლოგთა I საერთაშორისო კონგრესის დროს 20 წლის ინტერვალის შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილი ჩრდილოკავკასიელი და უცხოელი მეცნიერები ჩვენი თეთრი ტაძრის კედლებს კოცნიდნენ პირდაპირი გაგებით. თუ ჩვენს ქვეყანას გააჩნია რეგიონში სტრატეგიული გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და კულტურულ-ცივილიზაციური ფუნქციები, მაშინ უნივერსიტეტმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაითავისოს ეს ფუნქციები და აღასრულოს ისინი ინტელექტუალურ რანგში სამეცნიერო დარგებისა და ურთიერთობების განვითარებით.

უნივერსიტეტს ჰყავს საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერ-პროფესორთა დიდი გუნდი და მას მოფრთხილება და მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენ, რა თქმა უნდა, კარი უნდა გავუღოთ სხვა უცხოურ უნივერსიტეტებს ჩვენს უნივერსიტეტში (მაგ. სან-დიეგოს უნივერსიტეტს), მაგრამ ამავდროულად მის გვერდით კონტრასტულად არ უნდა გამოიყურებოდეს ის წამყვანი ფაკულტეტი და დარგები, რომლითაც ამაყობდა საქართველო. არ უნდა იყოს განცდა აკადემიური დისკრიმინაციისა: რომელიღაც დარგს ჰყავს პატრონი და რომელიღაცას - არა. უნივერსიტეტი იმიტომ არის უნივერსიტეტი, რომ ყველა აქ წარმოდგენილი დარგის ერთობლიობას, თანაბარ აკადემიურ უფლებებსა და ფინანსურ შესაძლებლობებს გულისხმობს. უნივერსიტეტს აქვს ე.წ. ოაზისური დარგები, რომელთაც, შეიძლება დიდი მოგება ვერ მოუტანონ უნივერსიტეტს, მაგრამ მათ გარეშე ვერც მეცნიერება და ვერც ქართული სახელმწიფო ვერ იარსებებს. არ უნდა არსებობდეს დამოკიდებულება, რომ ნაკლებად მომგებიანია ესა თუ ის დარგი. მათ სჭირდება მხარდაჭერა.

საფინანსო

უნივერსიტეტის ბიუჯეტი შედგენილია შეძლებისდაგვარად რაციონალურად, მაგრამ ბიუჯეტი არ არის გაყინული ერთეული ისეთ ცოცხალ დაწესებულებაში, როგორიც უნივერსიტეტია. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებმა უნდა შექმნან სტრატეგია ბიუჯეტის გაზრდისათვის რამდენიმე გზით: სტუდენტის მიერ მოპოვებული და უნივერსიტეტში მოტანილი დაფინანსებით და სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის თანხით. შემოსავლების მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია ჩვენს აკადემიური მოსწრების დონესთან, პროგრამების გამართულ მუშაობასთან, ლექტორების მიერ წარმართულ წარმატებულ სასწავლო პროცესთან, იმასთან, თუ აბიტურიენტთა საერთო რაოდენობიდან რამდენი წერს თსუ-ს პირველ ადგილზე და რამდენისათვის არის უნივერსიტეტში სწავლა პრიორიტეტი. ფართო კონკურენციაში უნივერსიტეტი ახერხებს იყოს პირველი. უნივერსიტეტის შემოსავლები ცალკეულ

ფაკულტეტებზე შეიძლება ორმაგად გაიზარდოს, თუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, პრიორიტეტული დარგების სტუდენტები მაღალრეიტინგულია და ორმაგი დაფინანსებითაა. ასე არის ეს, მაგალითად, ამ სასწავლო წელს ჩვენს ფაკულტეტზე, ამ გზით ბიუჯეტი გაიზარდა. შესაბამისად, საფინანსო უზრუნველყოფა სახელფასო სტრატეგიაში შეიძლება წარმატებულად შეიცვალოს ან შემოსავალი გადანაწილდეს კანონით განსაზღვრულ საქმიანობაზე. ბიუჯეტი ივსება აგრეთვე სამეცნიერო გრანტებით მოტანილი თანხებით, რაც ასევე პირდაპირპროპორციულია ჩვენი მეცნიერების წარმატებული სამეცნიერო კვლევებისა. ბიუჯეტი უნდა გავზარდოთ აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობით მიღებული თანხებით და ეს თანხები უნდა ჩავდოთ კვლავ ახალი, შედარებით გაფართოებული ეკონომიკური საქმიანობების განსახორციელებლად. უნდა დავაარსოთ უნივერსიტეტის განვითარების ფონდი და ეს სახსრები უნდა მივმართოთ უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობებისათვის. უნივერსიტეტის ცალკეულ პროფესორს უნდა ჰქონდეს მოტივი და შესაძლებლობა, კანონიერი გზით, შემოწირულობებითა თუ სხვა მექანიზმებით მოიზიდოს თანხები უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის თანხები არ უნდა განიკარგებოდეს ხაზინის გავლით, უნდა ვიზრუნოთ კანონის შესაცვლელად, თუმცა ეს არ გამორიცხავს ამ თანხების განკარგვის მონიტორინგს, რომლის უფლებაც კანონით აქვს მინიჭებული შესაბამის უწყებებს.

სენატში ჩემი მოღვაწეობის 8 წელი ვიბრძოდი ე. წ. სახელფასო დისკრიმინაციის წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ მიმაჩნია აუცილებლობად ფაკულტეტების დამოუკიდებლობა. პროფესორებმა უნდა შექმნან ინოვაციები მათი ცოდნის ინვესტირებისა და ფინანსური წარმატებისთვისაც. ამისთვის უნივერსიტეტი უნდა იყოს გახსნილი სამართლებლივ ფარგლებში.

მატერიალური

უნივერსიტეტმა რამდენჯერმა აღნუსხა თავისი მატერიალური ქონება, მაგრამ ვთვლი, რომ ეს არ არის საკმარისი. ერთი მხრივ, უნდა ვიზრუნოთ, აღვნუსხოთ და მოვუაროთ იმას, რაც გაგვაჩნია და, მეორე მხრივ, მოვიძიოთ რესურსები სახელმწიფო თუ კერძო დაფინანსებებით, შევცვალოთ, გავაუმჯობესოთ ჩვენი საუნივერსიტეტო გარემო, აუდიტორიები, ბიბლიოთეკები, კვების ობიექტები, თუ ასეთი გაგვაჩნია, ლაბორატორიები, მატერიალური სამსახურის დეპატრამენტის ოფისი და საცავები; მოვუაროთ უნივერსიტეტის ქონებას, რომელიც შეიძლება უნივერსიტეტისაგან შორს არის, მაგრამ ჩვენია. ასეთი მრავლად არის. მოკლედ, რას ვფლობთ, პასუხობს იმაზე, რას წარმოვადგენთ.

პერსონალის მართვა

ყოველი სტრუქტურული ერთეული უნივერსიტეტში მუშაობს გამართულად, ეს შეიძლება ითქვას პერსონალის მართვის დეპარტამენტზეც, მაგრამ გაუმჯობესებას რომ საჭიროებს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებმა უნდა გადახედოს ადმინისტრაციაში მომუშავე აკადემიური პერსონალის „მარადიულობას“ და ამით მათ მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას აკადემიური პერსონალის კონკურსებსა თუ სხვა საქმიანობაში. მართალია, ეს კანონით არ არის შეზღუდული, მაგრამ რაც კანონით არ არის შეზღუდული, ყოველთვის არც სამართლიანია და არც ეფექტური. ეს საკითხი ჯეროვნად უნდა იქნეს შესწავლილი. როგორ ახერხებს აკადემიურ-ადმინისტრაციული პერსონალი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორივე დატვირთვის შესრულებას 5 სამუშაო დღეში, საინტერესო და შესასწავლი საკითხია. უნდა დაინერგოს პრაქტიკა, რომ შეიცვალონ გარკვეული პერიოდის შემდეგ ისეთი ადმინისტრაციული პირები, რომელთა საქმიანობა აკადემიური აუცილებლობით არის შეპირობებული და ისინი წლობით არ უნდა იყვნენ ერთსა და იმავე პოსტებზე. ეს ვნებს მათს სამეცნიერო დონესაც და უნივერსიტეტში სამართლიანი აკადემიური გარემოს შექმნასაც. სწორედ ამიტომ უნივერსიტეტს არაერთი სასამართლო პროცესი აქვს წაგებული. პერსონალის გონივრული მართვა, ადამიანური რესურსის ადეკვატური გამოყენება უნივერსიტეტის წარმატებისა და სტაბილურობის გარანტია.

კანცელარია

ეს ის სფეროა, სადაც თანამშრომლები შემცირებულ მასშტაბებსა და მიზერულ თანხაში უდიდეს საქმეს აკეთებენ. საჭიროა ამ დეპარტამენტის პრობლემების მოსმენა, გაანალიზება და მოგვარება, არქივის განვითარება, ფინანსური მხარდაჭერა.

იურიდიული

ცალკე გამოვყოფდი ამ დეპარტამენტის საქმიანობას, რომელიც უდაოდ საჭიროებს შეფასებას, რადგან უნივერსიტეტის საქმიანობის სამართლებრივი ფორმატი ამ დეპარტამენტის პასუხისმგებლობის ქვეშ არის. რადგანაც უნივერსიტეტს ჰქონდა რეალური პრობლემები მართვაში, რაც ყველაზე მწვავედ ბოლო პერიოდში გამოვლინდა, ე.ი. იურიდიული დეპარტამენტის საქმიანობასაც ჰქონდა პრობლემები.

ყველაზე მწვავე პრობლემად მიმაჩნია უნივერსიტეტის მიერ წაგებული სასამართლო პროცესები და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ამ მიზნით გასული თანხები. ამ დეპარტამენტს აქვს რესურსი, გააუმჯობესოს მუშაობა. იურიდიულ დეპარტამენტს წინ ელოდება მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელმაც უნდა განსაზღვროს უნივერსიტეტის შემდგომი მუშაობა. ეს არის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტების მომზადება უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ერთად და, რაც მთავარია, ბენეფიციარების ანუ პროფესორებისა და სტუდენტების ღია ჩართულობით წინასწარი განხილვის სახით. უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს ორი ტიპის საკანონმდებლო აქტივობა: 1. წესდების დონეზე ჩვენი უფლებამოსილებით შეიტანოს მასში (წესდებაში) ცვლილებები, რა პროცესიც უკვე დაწყებულია სენატში სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნით და ეს მისასალმებელია; 2. უნივერსიტეტმა ბენეფიციარებთან განხილვის შემდეგ უნდა შეიმუშაოს უმაღლესი განათლების კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ რეკომენდაციები და წარუდგინოს იგი ამჯერად უნივერსიტეტის ზემდგომ ორგანოს (განათლების სამინისტროს), რათა მან წარუდგინოს იგი ახლად არჩეულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს - საქართველოს პარლამენტს. 1-ლი პუნქტის ანუ წესდების დონეზე ცვლილებებში მნიშვნელოვანია წესდების შემდეგი მუხლებისა და პუნქტების ცვლილებისა და დამატებისათვის სამუშაო ჯგუფთან ერთად განხილვა: 1-ლი მუხლი, მე-5 მუხლის ა) პუნქტი, მე-4 მუხლს შეიძლება დაემატოს 4[ა] და 4[ბ] პუნქტები, რედაქციას საჭიროებს ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები. ცვლილებას საჭიროებს მე-7, მე-16, მე-18, მე-19, მე-20 და სხვა პუნქტები. განსაკუთრებით საყურადღებოა მუხლი 23[7] - სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესის შესახებ, განსაკუთრებით პროფესორ-მეცნიერთა ატესტაციის საკითხი; სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობების შესახებ მუხლი 23[8]; ასევე მნიშვნელოვანია მუხლი 23[9] მეცნიერების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ; მუხლი 29 - აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები, მათ შორის პროფესორის უვადოდ არჩევის შესახებ. დგება საკითხი - შეიძლება ატესტაციის თარიღი ჩაიწეროს წესდებაში? რაზე მიუთითებს ამგვარი მიდგომა და სხვა. გამომდინარე აქედან, იურიდიული სამსახურის წინაშე მნიშვნელოვანი სამუშაო დგას და მჯერა, რომ იგი ამას თავს გაართმევს.

უნივერსიტეტის რეიტინგი საერთაშორისო ასპარეზზე, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ამ მიმართულებით ძალზე ბევრს აკეთებს **საგარეო საქმეთა** დეპარტამენტი. იგი ჩვენ გვეხმარება უცხოელი სტუდენტების ჩვენს პროგრამებზე მიღებაში და ჩვენი სტუდენტების უცხოეთში მისავლენად. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ამ დეპარტამენტს ჩვენი სამეცნიერო აქტივობებით, სამეცნიერო ფორუმებით,

ურთიერთობებით უფრო ფართო საქმიანობა წარმართოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე წარსადგენად.

ჩვენი უნივერსიტეტის პრეზენტაციას ქართულ სივრცეში მცირე ადამიანური და მატერიალური რესურსებით ემსახურება **საზოგადოებასთან ურთიერთობის** სამსახური, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს უნივერსიტეტის სახე მაშინაც კი, როცა სიტუაცია კრიტიკულია. ამ სამსახურს ესაჭიროება მხარდაჭერა. იგი უნდა იყოს გახსნილი და უნდა მუშაობდეს პლურალიზმის პრინციპით, არ უნდა ეშინოდეს განსხვავებული აზრის, პოზიციის გავრცელებისა. ჩვენ უნდა მივცეთ მათ სიტყვის თავისუფლება, ინფორმაციულობის ფართო სპექტრი.

გაზეთი **„თბილისის უნივერსიტეტი“** უნდა განთავისუფლდეს უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების გავლენისაგან და უნდა იგრძნობოდეს, რომ ეს ყველა უნივერსიტეტელის გაზეთია, მათ შორის მათიც, ვინც განსხვავებულ აზრს ამბობს. ამ მიმართულებით გაზეთმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და კვლავაც უნდა გადადგას.

თანამედროვე უნივერსიტეტი წარმოუდგენელია **საინფორმაციო ტექნოლოგიების** გარეშე. ვირტუალური სივრცე, რომელშიც ჩვენი უნივერსიტეტის სახეა წარმოდგენილი, საჭიროებს განახლებასა და მოქნილობას, დახვეწას.

უნივერსიტეტში პროფესორისა და სტუდენტის საქმიანობა უნდა იყოს დაცული. კარგი დაცვა კი ის არის, რომელიც გიცავს, მაგრამ არ ჩანს. უნდა შეიცვალოს სტრატეგიები და განვითარდეს დაცვისა და უსაფრთხოების მექანიზმები, პასუხისმგებლობა.

შიდა აუდიტის სამსახურის მოქნილობა უნდა განსაზღვრავდეს უნივერსიტეტის საქმიანობის წარმატებას. ამ სამსახურს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ხედვა უნივერსიტეტის განვითარებისათვის. ხელი უნდა შევუწყოთ **სამუზეუმო საქმიანობას**, როგორც უშუალოდ უნივერსიტეტის სივრცეში, აგრეთვე გარე მუზეუმებშიც, რომლებიც ეკუთვნის უნივერსიტეტს და საჭიროებს შველას. უნდა წავახალისოთ სამუზეუმო საქმიანობა, რადგან ჩვენ ამ მიართულებით გვყავს მაღალი რანგის სპეციალისტები და მათ შეუძლიათ სასწავლო და სამეცნიერო ისტორიისა თუ თანამედროვეობის საერთაშორისო დონეზე წარმოდგენა, რის დასტურად მოვიშველიებდი თუნდაც კონგრესების დროს მოწყობილ გამოფენებს. ამ გამოფენებმა სახელი გაუთქვა ჩვენს უნივერსიტეტს საერთაშორისო დონეზე.

ცოდნის შენახვის, გადაცემისა და კვლავწარმოების საქმეში სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან ერთად აუცილებლობას წარმოადგენს **ბიბლიოთეკების მუშაობა.** გავზრდიდი ბიბლიოთეკების სამუშაო დროსა და პირობებს, კომფორტს სტუდენტისა და პროფესორისათვის, საერთაშორისო დონის ბიბლიოთეკებთან ინტეგრირების ველს, ყველა პირობას ბიბლიოთეკისათვის, შევიძენთ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, საჭიროების შემთხვევაში - რარიტეტებსაც. შევქმნით ელექტრონულ ბიბლიოთეკას; ამისთვის არსებულ აპარატურას დავამატებდით ახალ აპარატურას, პერსონალს, ფინანსებს, გავზრდიდით წვდომის ხარისხსა და მომსახურების სპექტრს.

უნივერსიტეტის სახე ყველაზე მეტად უნივერსიტეტის **გამომცემლობაში** ვლინდება. გამომცემლობის მიერ გამოცემული სასწავლო-სამეცნიერო პროდუქცია აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამის მაგალითად იკმარებდა საერთაშორისო სამეცნიერო სამენოვანი ყოველწლიური ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“ (700 გვერდიანი) და ყველა პერიოდული თუ ინდივიდუალური სამეცნიერო გამოცემა. მინდა აღვნიშნო, რომ მცირეა გამომცემლობისთვის გამოყოფილი თანხა, არ არის თანამედროვეობასთან შესაბამისობაში ტექნიკური აღჭურვა. გამომცემლობას სჭირდება მომსახურე პერსონალის გაზრდა, რადგან იგი ვერ აუდის პროდუქციის გამოცემას, მიუხედავად სტამბის თავდაუზოგავი შრომისა. საჭიროა სივრცისა და შესაძლებლობების, ფინანსების გაზრდა და თუ ამ მწირ რესურსებში ასეთი წარმატებულია გამომცემლობა, უნდა წარმოვიდგინოთ, როგორი იქნება იგი მხარდაჭერის შემთხვევაში.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო **საგამოცდო ცენტრის** წარმატებული მუშაობა. მახსოვს, რამდენი მოწინააღმდეგე ჰყავდა ამ სიახლეს უნივერსიტეტში. ცხადია, რომ ეს სამსახური დიდ როლს ასრულებს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოსა და აკადემიური თანასწორობისა და სამართლიანობის საქმეში. მიუხედავად ამისა, არ არის საკმარისი ის, რაც გაკეთდა, საჭიროა უფრო დახვეწილი მუშაობა და საგამოცდო სივრცისა და მომსახურების განვითარება.

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი წარმატებაა **ლექსიკოგრაფიული ცენტრის** დაარსება უნივერსიტეტში. ამ ცენტრს აქვს უზარმაზარი რესურსი, უნივერსიტეტს მოუტანოს არა მარტო აკადემიური, არამედ ფინანსური წარმატებაც. ამიტომ უნივერსიტეტის მართვის ორგანოები ყოველთვის მხარს უნდა უჭერდნენ ამ ცენტრის მაღალკვალიფიციურ საქმიანობას.

ასეთივე მნიშვნელოვანია, ვიტყოდი, უნივერსიტეტის წარმატების ერთ-ერთი გარანტია უდიდესი ადამიანური რესურსებისა და შესაძლებლობების მქონე **ენების ცენტრი,** რომელიც უკვე კარგა ხანია ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული (რასაც მე პირადად, როგორც სენატის წევრმა, დავუჭირე თავის დროზე მხარი); მას აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური შემოსავლების შესაძლებლობა უნივერსიტეტში. დიდია მასზე მოთხოვნა და, შესაბამისად, დიდია ჩვენი ინტერესი ენების ცენტრის განვითარებისადმი. იგი ფუნქციონირებს უცხო ენათა მიმართულებების ბაზაზე, ასაქმებს ბევრ სპეციალისტს, ქმნის კომპლექსურად ენების ყველა დონეზე შესწავლის შესაძლებლობას, მაგრამ ენების ცენტრს სჭირდება ახალი აკადემიური გარემო (კორპუსი), თანამედროვე ტექნოლოგიები, კაბინეტები, მათ შორის დისტანციური სწავლებისა და ლინგაფონისა. ცენტრს სჭირდება განვითარება. მას უნდა შეეძლოს, განკარგოს მოზიდული თანხის ნაწილი მატერიალურ-ტექნიკურ და სივრცის უზრუნველყოფაზე, ხელფასების გაზრდაზე. ვიმედოვნოთ, რომ მალე უნივერსიტეტი შეძლებს ავარიული მე-5 კორპუსის ადგილზე ახალი შენობის აღმართვას და ამ სივრცეში ენების ცენტრის წარმატებულ ფუნქციონირებას.

უნივერსიტეტის ფრთის ქვეშ უნდა შეეწყოს ხელი მის სტრუქტურულ ერთეულებს: აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, კარიერული განვითარების ცენტრს, ქუთაისის სასწავლო ცენტრს, იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების, ინტერაქტიული მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს, ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრს, გენდერული კვლევების ცენტრს. უნივერსიტეტს შეუძლია, თუ საჭირო და შესაბამისი დასაბუთება იქნება, კვლავ შექმნას მსგავსი ცენტრები. ამავდროულად, ჩვენ უნდა თვალყური ვადევნოთ ამ ცენტრების ფუნქციონირებას, შევისწავლოთ, რა სივრცე სჭირდებათ მათ ფუნქციონირებისათვის და ხომ არ ხდება ეს ძირითადი სტრუქტურული ერთეულების სივრცის ხარჯზე.

უნივერსიტეტის გახსნილობისა და მრავალფუნქციურობის დადასტურებაა უნივერსიტეტში დღეს მოქმედი **დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.** ჩვენ უნდა შევაფასოთ მათი მუშაობა და უნივერსიტეტისათვის სარგებლიანობა, გნებავთ, საკითხი იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება საუნივერსიტეტო სივრცეს მათი პოლიტიზებურობის ან სხვა არგუმენტის გამო.

რატომ შეიძლება ვიქნე არჩეული რექტორის თანამდებობაზე?

მე, პროფესორი ცირა ბარამიძე, ვარ მოტივირებული უნივერსიტეტის წარმატებისათვის. მთელი ჩემი მოღვაწეობა დაკავშირებულია მხოლოდ ამ უნივერსიტეტთან. ვარ უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი დარგის - კავკასიოლოგიის ხელმძღვანელი, ვარ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ქართულენოვანი და რუსულენოვანი (ახლა უკვე ინგლისურენოვანისაც, რომელი განხილვაშია) პროგრამების ავტორი და ხელმძღვანელი, ვკითხულობ 11 საგანს ორივე სექტორზე, ვარ მეცნიერების კარგი ორგანიზატორი: 2006 წელს ორი კათედრის საფუძველზე (კავკასიურ ენათა კათედრა და კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრა) დავაარსე კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, 2007 წელს დავაარსე კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი, ჩავატარე სამი კონგრესი და ახლა ვხელმძღვანელობ მე-4-ს (ჩატარდება 2016 წლის 1-4 დეკემბერს), ვარ 20-მდე სამეცნიერო საერთაშორისო და ადგილობრისვი ფორუმის იდეის ავტორი, სამეცნიერო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი; 2009 წელს დავაარსე საქართველოში (ვფიქრობ, საერთაშორისო მასშტაბიტაც) ერთადერთი სამენოვანი ინტერდისციპლინური რეცენზირებადი ყოველწლიური ორგანო „კავკასიოლოგიურიბ ძიებანი“, გამოვიდა 6, ჩაშვებულია მე-7 და მზადდება მე-8, ვარ ბევრი სამეცნიერო გამოცემის რედაქტორი, ვმონაწილეობ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მრავალ ქვეყანაში და წარმოვადგენ საქართველოსა და კავკასიას, ვიცავ კავკასიელი ხალხებისა და ენების უფლებებს საერთაშორისო არენაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ კონგრესებზე მეცნიერული თვალთახედვით. ვარ ინოვაციური სწავლებისა და კვლევების ავტორი კავკასიური ენების მიმართულებით. ვარ 140-მდე ნაშრომის, 4 მონოგრაფიისა და 5 წიგნის ავტორი. ვთანამშრომლობ საქართველოს ყველა მოწვევის პარლამენტში კავკასიისა და დიასპორის კომიტეტთან შესაბამისი საკითხებისა და სტრატეგიული კვლევების განხილვაში. გერმანული ფონდის „ჰორიზონის“ თხოვნითა და ფინანსური მხარდაჭერით გამოვიდა მონოგრაფია „კავკასია დროისა და სივრცის გასაყარზე“(ახლახან), სადაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოვადგინე კავკასიის ინტეგრაციის ისტორიული საკითხების რაკურსი და პერსპექტივების სამეცნიერო საფუძვლები. ვკითხულობ „კავკასიური სახლის“ თხოვნით საჯარო ლექციებს ამ სახლში და რეგიონებისათვის. ამ ლექციების ნაწილი ატვირთულია ინტერნეტსივრცეში. ვთვლი, რომ ვარ საზოგადო მოღვაწე. ვხვდები კავკასიურ დიასპორებს კავკასიის ფარგლებს გარეთ სასწავლო და სამეცნიერო მიზნებით; ვთანამშრომლობ აფხაზ და ოს კოლეგებთან რიგი წინააღმდეგობების მიუხედავად. მაქვს კონფლიქტების დარეგულირების ჩემეული ხედვა, რომელიც

გაზიარებულია სახელმწიფო სტრუქტურებში, სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებაში. მისი ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია.

ვარ თსუ სენატის ორი მოწვევის წევრი, ვთვლი, რომ - აქტიური წევრი, თსუ 2007 წლის წესდების შემდგენი კომისიის ერთ-ერთი წევრი 10 წევრიდან (მეამაყება, რომ ვარ პრეამბულის ავტორი და უფრო ვიამაყებ, თუ მასში ჩადებულ ნომინალურ ავტონომიურობას რეალურად განვახორციელებ ჩემს კოლეგებთან, სტუდენტებთან, უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებთან ერთად გუნდური და ინდივიდუალური საქმიანობით). ვარ პროგრესის მომხრე და პროგრესული იდეების ავტორი და განმახორციელებელი; არაერთი სამეცნიერო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, მათ შორის, მასშტაბური სახელმწიფო პროექტებისა.

უბრალოდ, ვარ მოქალაქე ჩემი ქვეყნისა და, შეიძლება ითქვას კავკასიისა. ვარ ტოლერანტი, აღზრდილი კავკასიურ ტოლერანტობაზე აკადემიკოსების - არნ. ჩიქობავასა და ქეთევან ლომთათიძის, პროფესორების - ალექსანდრე მაჰომეტოვის, გიორგი როგავას, ეკატერინე ოსიძის, ოტია კახაძის, ევგენი ჯეირანაშვილის და სხვათა მიერ. ვარ ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის ხაზის გამტარებელი ეროვნულ საკითხში. ამ კონკურსშიც ჩემი მონაწილეობა მათ წინაშე და ერის წინაშე პასუხისმგებლობად მიმაჩნია, თუმცა დღეს უკვე ჩემ მიერ შექმნილით მეცნიერებასა და მეცნიერების ორგანიზებაში თამამად შემიძლია გავუსწორო თვალი იქ, იმ ქვეყნად, ივ. ჯავახიშვილს, არნ. ჩიქობავას, სიმონ ჯანაშიას და სხვათა.

ყოველთვის ვზრუნავ სტუდენტზე და ვიცავ მის ინტერესებს, ვარ იქ, სადაც არიან ჩემი სტუდენტები, თუნდაც განსაცდელსა და შეცდომაში; ვცდილობ მათ სწორ გზაზე დაყენებას; მე მიყვარს ისინი გულწრფელად. ვერ წარმომიდგენია ჩემი სიცოცხლე სტუდენტური აუდიტორიის გარეშე. ჩემთვის ყველაზე დიდი წოდებაა - პროფესორი, ეს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაცაა - აკადემიურიცა და მორალურიც. ვიცი, რომ ცოდნა სიკეთის გარეშე ბოროტებაა, სიკეთე ცოდნის გარეშე უძლურია. ვარ კოლეგიალური, ვარ ხელოვანი საქმიანი გუნდის შექმნაში, რისი დასტურიცაა ჩემ მიერ უნივერსიტეტში 100-მდე ახალი სასწავლო დისციპლინის შექმნა და დანერგვა სწავლებაში, დარგისადმი პროსპექტული ხედვა.

ვარ ინიციატორი, არა ვარ პოლიტიკური წარსულის მქონე, ვარ აპოლიტიკური ფიგურა, ისეთი, როგორიც უნდა იყოს პროფესორი. ვარ სამართლიანი, მიყვარს კანონშემოქმედება და კანონის უზენაესობა და არა კანონით მანიპულირება. მაქვს შესაბამისი გამოცდილება.

ვარ დედა ორი ვაჟისა, ვარ მრავალი კავკასიელი სტუდენტის „დედაც“, ვარ, როგორც მეძახიან, „კავკასიის დედა“. ამისთვის არსებობს საფუძველი. არ ვარ სისტემის ნაწილი, კერძოდ, იმ სისტემისა, რომელიც რეტროგრადულია. ვარ კარგი გაგებით ამბიციური, რადგან მიმაჩნია, რომ პროგრესს ქმნის ახალი ტიპის აზროვნება. მიყვარს ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა საქმისთვის და ამ მიზნით კანონიერი გზების გამოყენება, აქტიურობა. მიყვარს შენება. მე შემიძლია თქვენთან ერთად შევქმნა ინოვაციური, წარმატებული უნივერსიტეტი და ჩვენ ერთად ვთქვათ გადამწყვეტი სიტყვა უნივერსიტეტის ისტორიაში, ისეთი, როგორიც შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის იდეას უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის თავზე. ნუ გაიმეტებთ უნივერსიტეტს კვლავ სისტემის საჯიჯგნად და ჩვენ ერთად ვიზრუნებთ წარმატებისათვის.

სიღრმისეულად ვიცნობ უნივერსიტეტის ყოველი კონკრეტული პრობლემის ისტორიას, არსსა და შედეგებს და მაქვს მათი გადაწყვეტის ჩემეული ხედვა, რომელთაც, რა თქმა უნდა, თქვეთან შეთანხმებით გადავჭრით.

მინდა მჯეროდეს, რომ სისტემის მსახურნი კვლავ არ ააგორებენ შავ პიარს ჩემ წინააღმდეგ. მე ხომ გახსნილი ვარ ურთიერთობებისათვის და ჩემი ყოველი ნაბიჯი ღირსების საკითხია.

ძვირფასო აკადემიური საბჭოს წევრებო, ვერ გაგიმეტებთ, მეტად გადაგღალოთ. მაპატიეთ ჭარბსიტყვაობა, ზოგჯერ სენტიმენტალიზმი. ამან არ შეგაშინოთ. ჩემში რაციო აჭარბებს ემოციას, თუმცა არც უმისობა ვარგა. უთხარით არა სისტემურ ძალადობას, გადადგით სწორი, გამბედავი ნაბიჯი ჩემი არჩევით და მე გავამართლებ თქვენს ნდობას, სტუდენტების მოლოდინს, რომ პროფესურა მათ არ გაწირავს და არ გაიმეტებს რეაქციისათვის.

უნივერსიტეტის ბედი დღეს თქვენს ხელშია.

პატივისცემით,

პროფ. ცირა ბარამიძე

14.09.2016